სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის

ანგარიში

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია აქტიურად იყო ჩართული 2022 წლის განვლილ პერიოდში განხორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგში. მონაწილეობდა დარსულებული პროექტების მიღება-ჩაბარების კომისიაში, მონაწილეობას ღებულობდა სატენდერო კომისიაში, დეფექტური აქტების შედგენაში, ინსპექციების ჯგუფში.

კომისიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით" გათვალისწინებული პროექტების მიმდინარეობის დროს ობიექტების ინსპექტირებაზე.

ყოველკვარტალურად ახორციელებდა ინფრასტრუქტურული სამუშაოების ანგარიშს და სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულების მიზნით შეიმუშავებდა შესაბამის რეკომენდაციებს. ვადაგადაცილებულ და უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოებზე ახდენდა შესაბამის რეაგირებას, ჩართული იყო 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვა-დამტკიცებაში.

კომისიამ დროული რეაგირება მოახდინა შემოსულ განცხადებებზე, ადგილზე გასვლით შეისწავლა არსებული მდგომარეობა და მოახდინა შესაბამისი რეაგირება. განცხადებები ,რომელიც დაეწერა კომისიას , პასუხგაცემულია კომისიის მიერ.

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია ადგენს სამუშაო გეგმას, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, მართავს სხდომებს და ადგენს შესაბამის ოქმებს.

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის

კომისიის თავმჯდომარე: მ.ხაბულიანი /მ.ხაბულიანი/

26.12.2022